YOUTRANSITION

YOUTH SEEDS FOR A JUST TRANSITION

2024-1-FR02-KA220-YOU-000246991

# კონკურსი ახალგაზრდული მუშაკებისთვის

| ინფორმაცია პროექტზე | |
|---|---|
| პროექტის აკრონიმი | **YouTransition** |
| პროექტის სახელწოდება | Youth seeds for a just transition |
| პროექტის ნომერი | 2024-1-FR02-KA220-YOU-000246991 |
| პროექტის პერიოდი | 01/10/2024 - 31/03/2027 |
| პროექტის ვებ. გვერდი | https://youtransition.eu/ |
| სამუშაო პაკეტი | 2 - ახალგაზრდების გაძლიერება |
| თარიღი | ივნისი 2025 |
| დოკუმენტის ტიპი | გეგმა |
| ენა | ქართული |

| კონსორციუმი | |
|---|---|
| აპლიკანტი ორგანიზაცია | |
| Ligue de l'Enseignement Nouvelle-Aquitaine | საფრანგეთი |
| პარტნიორი ორგანიზაცია | |
| AnciLab | იტალია |
| Municipality of Lecce | იტალია |
| FNAJ-National Federation of Youth Associations | პორტუგალია |
| Association for Children and Young People - CHANCE | პოლონეთი |
| Project School | იტალია |
| Learning Seed | საბერძნეთი |
| Youth Agency | საქართველო |

Co-funded by the European Union

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or the European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor EACEA can be held responsible for them.

## 1. კონკურსის მიზანი

„სამართლიანი ტრანზიციისთვის სერვისის დიზაინის ტრანსნაციონალური სკოლა“ არის ევროპული სასწავლო პროგრამა, რომელიც აძლიერებს იმ ადამიანების კომპეტენციებს, ვინც მუშაობს ახალგაზრდებთან, ინკლუზიის, ახალგაზრდული მონაწილეობის, სამართლიანი ტრანზიციისა და სერვისების ინოვაციის მიმართულებით.

პროგრამა ხორციელდება **YouTransition-ის პროექტის ფარგლებში**, რომელიც მოიცავს 6 ქვეყნის ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებს, მათ შორის საქართველოდან სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტიდან შეირჩევა 10 მონაწილე, ვინც შემდგომში ჩაერთვება ონლაინ სწავლებაში. სწავლების მიდგომა იქნება სოციალური ბიზნეს მოდელები, სერვისების შემუშავება, ახალგაზრდული საქმიანობა და სამართლიანი ტრანზიცია.

## 2. რას გთავაზობთ კურსი

**ონლაინ სწავლება** (დაახლოებით 24 საათი) – 2025 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის თებერვლამდე:
სასწავლო მოდულები, ლიტერატურა, რეფლექსიური და კოლაბორაციული აქტივობები.

**თემატური ფოკუსები**: მრავალფეროვნება და ინკლუზია; ახალგაზრდული მონაწილეობა და პოლიტიკა;
სამართლიანი ტრანზიცია (კლიმატური და სოციალური სამართლიანობა); სერვის დიზაინი;
სოციალური ბიზნეს მოდელი; პროექტების კომუნიკაცია და დაფინანსება.

**ადგილობრივი მხარდაჭერა**– ახალგაზრდობის სააგენტო და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი.

**Youthpass / სერტიფიკატი** და წვდომა სასწავლო მასალებზე.

**ევროპული ნეთვორქინგი** საფრანგეთის, პორტუგალიის, საბერძნეთის, პოლონეთისა და საქართველოს კოლეგებთან.

**შესაძლებლობა საერთაშორისო ტრენინგში მონაწილეობის**
პორტუგალიაში (9–14 მარტი, 2026), რომლის ხარჯებსაც პროექტი დაფარავს.

## 3. ვისთვისაა ეს კურსი

პროგრამა განკუთვნილია ლაგოდეხში ან მის მიმდებარე მუნიციპალიტეტში მომუშავე ახალგაზრდული მუშაკებისთვის:

- ახალგაზრდული საბჭოების და ორგანიზაციების წარმომადგენლები,
- ახალგაზრდული მუშაკები (ასოციაციები, მუნიციპალური სერვისები, ახალგაზრდული ცენტრები, საინფორმაციო სერვისები),
- ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები და მოხალისეები,

Co-funded by the European Union
Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or the European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor EACEA can be held responsible for them.

- სოციალური მეწარმეები და ინოვატორები,
- ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლები.

*აუცილებელი არ არის ინგლისურის მაღალ დონეზე ცოდნა ონლაინ ფაზისთვის – ყველა მასალა ქართულადაა, თუმცა საბაზისო ცოდნა სასარგებლო იქნება სხვა მონაწილეებთან ურთიერთობისთვის და სავალდებულოა საერთაშორისო ფაზისთვის.*

**მინიმალური ასაკი: 18 წელი.**

## 4. შესარჩევი კრიტერიუმები

მონაწილეობისთვის საჭიროა:

- ცხოვრობდე ან მუშაობდე ლაგოდეხში,
- იყო მინიმუმ 18 წლის,
- იყო ჩართული ახალგაზრდულ საქმიანობაში (პროფესიულად ან მოხალისედ),
- გქონდეს ინტერესი სოციალური და გარემოსდაცვითი სამართლიანობის მიმართ,
- შეძლო სრული ონლაინ კურსის გავლა (ოქტომბერი 2025 – თებერვალი 2026),
- გქონდეს ინტერნეტკავშირი და შესაბამისი მოწყობილობა.

## 5. შერჩევის კრიტერიუმები და ქულები

1. **პირადი მოტივაცია** – 25 ქულა
2. **სასწავლო საჭიროებები** – 15 ქულა
3. **პრაქტიკული გამოყენება** – 20 ქულა
4. **გამოცდილება ახალგაზრდებთან/მარგინალიზებულ ჯგუფებთან** – 15 ქულა
5. **როლი და მულტიპლიკაციის შესაძლებლობა** – 10 ქულა
6. **დროისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა** – 10 ქულა
7. **ჯგუფის ბალანსი და ინკლუზია** – 5 ქულა

## 6. განაცხადის შეკითხვები

მაქსიმუმ 200 სიტყვიანი პასუხი თითოეულზე:

1. რატომ გსურთ მონაწილეობა?
2. რა კომპეტენციების განვითარება გჭირდება?
3. როგორ გამოიყენებ მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში?

Co-funded by the European Union

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or the European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor EACEA can be held responsible for them.

4. მოგვიყევი გამოცდილებაზე მარგინალიზებულ ახალგაზრდებთან (თუ გაქვს).
5. რას ნიშნავს შენთვის „სამართლიანი ტრანზიცია“ ადგილობრივ კონტექსტში?

## 7. ვადები

- განაცხადების მიღება – **22 – 30 სექტემბერი, 2025**
- შერჩევა– **1 ოქტომბერი, 2025**
- შედეგების გამოქვეყნება – **1 ოქტომბერი, 2025**
- ეროვნული შეხვედრა (ონბორდინგი) – **2 ოქტომბერი, 2025**
- კურსის დაწყება – **3 ოქტომბერი, 2025**

## 8. ხელმისაწვდომობა

პროგრამა მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. განაცხადში შეგიძლია მიუთითო საჭიროებები (ენობრივი, ციფრული, სენსორული და სხვ.), რომ შესაბამისი ადაპტაციები გაკეთდეს.

## 9. შედეგების გამოქვეყნება

შერჩეულ მონაწილეებს პასუხი ეცნობებათ 1 ოქტომბერს.

## 10. გამჭვირვალობა

- ერთიანი განაცხადის ფორმა (Google Form).
- შერჩევის კრიტერიუმები წინასწარ გამოქვეყნდება.
- მრავალფეროვანი საკონსულტაციო კომისია.
- ქულების რეგისტრაცია ანონიმიზირებული ფორმით.
- გასაჩივრების შესაძლებლობა – 5 დღეში.

## 11. თანასწორი შესაძლებლობები

მიზანია ჯგუფი ასახავდეს **ლაგოდეხის მრავალფეროვნებას** – სქესი, კულტურული ფონი, ურბანული/სოფლური წარმოშობა, უნარები, ეთნიკური უმცირესობები, სოციალური სტატუსი.

## 12. კონფიდენციალურობა

პროექტის მონაცემებს მართავს **ახალგაზრდობის სააგენტო** (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით).
მონაცემები გამოიყენება მხოლოდ კანდიდატურების მართვისა და პროექტის მიზნებისათვის.

## 13. როგორ უნდა გაიგზავნოს განაცხადი

- ყურადღებით წაიკითხე ეს ინფორმაცია,
- მოამზადე მოკლე პასუხები კითხვებზე,

Co-funded by the European Union

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or the European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor EACEA can be held responsible for them.

LIGUE de l'enseignement · anciLAB Società Benefit · Città di Lecce · fnaj · Szansa · project school · Learning Seed · LEPL Youth Agency of Georgia

- შეავსე ონლაინ ფორმა,
- მიიღებ ავტომატურ დასტურს ელფოსტაზე.

## 14. ხშირად დასმული კითხვები

- **რამდენ დროს მოითხოვს?** დაახლოებით 24 საათი მთლიანობაში.
- **ტრენინგი უფასოა?** დიახ.
- **საჭიროა ინგლისურის ცოდნა?** ონლაინ ფაზისთვის – არა, საერთაშორისო ფაზისთვის – დიახ.
- **შეიძლება თუ არა მონაწილეობა ლაგოდეხის გარეთ მცხოვრებ პირს?** – კი, თუ მუშაობს ლაგოდეხში.

## 15. საკონტაქტო ინფორმაცია

**Project School – YouTransition-ის ადგილობრივი კოორდინატორი**
🌐 https://projectschool.eu

Co-funded by the European Union

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or the European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor EACEA can be held responsible for them.

YOUTRANSITION

YOUTH SEEDS FOR
A JUST TRANSITION

2024-1-FR02-KA220-YOU-000246991